



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



MDF
მედიის განვითარების ფონდი

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 14 – 21 იანვარი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რადიო-ტელევიზიური კვლევა

2010 წლის 14-დან 21 იანვრის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 15 ფაქტია მოკვლეული. ამ 15 ფაქტიდან 12 ნეგატიური გაშუქების მაგალითია, ხოლო 3 პოზიტიურის.

მოკვლეული 15 ფაქტიდან 10 ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, ხოლო 5 რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 10 ფაქტი ასე განაწილდა: 8 ნეგატიური და 2 პოზიტიური გაშუქება. რელიგიური უმცირესობის გაშუქების პროპორცია კი ასეთია: 4 ნეგატიური და 1 პოზიტიური.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა ხუთმა გაზეთმა 10 სტატიაში. ამ 10 სტატიაში მოკვლეული იქნა 13 ფაქტი, რომელთაგან 11 ნეგატიური შინაარსისა იყო და მხოლოდ ორი პოზიტიური. უმცირესობების გაშუქების ორი ფაქტი იქნა მოკვლეული სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოსვლები), რომელთაგან მხოლოდ ერთში იქნა სტანდარტის დარღვევა აღმოჩენილი.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (14-21 იანვარი) მონიტორინგის ქვეშ მყოფ 5 ტელევიზიას არც ერთხელ არ გაუშუქებია რელიგიური უმცირესობები მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობაზე სულ ჯამში 56 სიუჟეტი გავიდა.

დარღვევების სიხშირით განსაკუთრებით გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი“ გამოირჩეოდა. საანალიზო პერიოდში ამ გაზეთში გამოქვეყნებული ოთხი სტატიიდან (ხუთი ფაქტი) ოთხივეში უმცირესობები (როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური) ნეგატიურად იყვნენ გაშუქებულნი.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ სტანდარტების დარღვევის ფაქტები. გთავაზობთ რამდენიმე ტიპურ მაგალითს:

დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით

1. ტელეკომპანია „კავკასიის“ 14 იანვრის სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა სიუჟეტი, რომელიც ერთ-ერთი ლტოლვილის საცხოვრებელი ადგილის დარბევას ეხებოდა. სიუჟეტში ლტოლვილი მამაკაცი ამბობს:

„ასეთ რაღაცას თვით აფხაზი არ გააკეთებდა ამას ქართველი კი არა“.

ლტოლვილი მამაკაცის ეს შეურაცხყოფელი განცხადება არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენდა და მედია საშუალებას შეეძლო არ გაეშვა იგი ანდა, გაშვების შემთხვევაში, უნდა აღენიშნა, რომ მსგავს განცხადებას ეთნიკური აფხაზები შეურაცხყოფელად აღიქვამენ.

2. ამავე კატეგორიას განეკუთვნება განცხადება, რომელიც გაზეთ „კვირის პალიტრის“ №3 (807) გამოშვებაში (2010 წლის 18-24 იანვარი) დაბეჭდილ სტატიაში, „მე ვეკითხები ჩემს ხალხს“, რესპონდენტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა გააკეთა:

„დღეს ქართველები თამარ მეფის ოსობაზე ლაპარაკობენ. ამაზე მეტი სირცხვილი რა უნდა იყოს?“

ეს ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციული გაშუქების ტიპური მაგალითი და ოსი ხალხის შეურაცხყოფა. მედია საშუალებას შეეძლო არ გაეშუქებინა ეს შეურაცხყოფელი განცხადება. თუმცა ვინაიდან რესპონდენტი - პოეტი და ყოფილი დეპუტატი ჯანსუღ ჩარკვიანი - საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებაა, მისი გამონათქვამები გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს საზოგადოებისათვის, რათა საზოგადოებამ შეძლოს ასეთი ადამიანების ღირებულებითი ორიენტირების შეფასება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი ვალდებული იყო აღენიშნა, რომ მსგავსი განცხადება ეთნიკურად ოსი საქართველოს მოქალაქეების შეურაცხყოფაა.

სტერეოტიპიზაცია

3. 21-22 იანვრის გაზეთ „ალიას“ №6 (2443)-ში გამოქვეყნებული სტატიის სათაურია „გიგი უგულავას ქურთი მეეზოვეები უჩივიან?“. სტატია აშუქებს მეეზოვეების მიერ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ბრალდებით მერიის წინააღმდეგ სასამართლოში საჩივრის შეტანის ფაქტს. ასეთ სტატიაში დასაშვებია ეთნიკურობის მითითება, ვინაიდან უშუალოდ ეხება სტატიის თემას, თუმცა ჟურნალისტმა ამის გაკეთება ამ უმცირესობისათვის შეურაცხყოფის მიყენების და სტანდარტების დარღვევის გარეშე ვერ მოახერხა: სტერეოტიპიზაცია (პროფესიასთან ეთნიკურობის მითითება), უმცირესობის ერთ მონოლითურ ჯგუფად წარმოდგენა და უმცირესობის ერთი კონკრეტული ჯგუფის პროფესიის განზოგადება მთელ უმცირესობაზე („საქართველოს ქურთები თბილისის ხელისუფლებას უმხედრდებიან“). საკითხის ასეთ გაშუქებას შეურაცხყოფელად აღიქვამენ საქართველოს ეთნიკური ქურთი მოქალაქეები.

4. „ალიას“ ზემოხსენებულ სტატიაში პოზიტიური ფაქტიც იქნა მოკვლეული. გაზეთის რესპონდენტი ამბობს:

„არანაირი განსხვავება არ ხდება ქართველებსა და ქურთებს შორის, ყველა ჩვენი ერის შვილები ვართ და თანასწორი უფლებები გვაქვს კანონის წინაშე.“

5. „ალიასგან“ განსხვავებით ტელეკომპანია „კავკასიამ“ მეეზოვეთა საჩივრის ფაქტის გაშუქება ეთნიკური უმცირესობის რაიმე შეურაცხყოფისა და სტანდარტების დარღვევის გარეშე შეძლო 21 იანვრის საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში. „კავკასიამ“ ისე გააშუქა ეს თემა, რომ ეთნიკური წარმომავლობაც კი არ უხსენებია სიუჟეტში.

ვაკე საბურთალოს რაიონის დასუფთავების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები სასამართლოში ჩივიან

დღეს პროფესიული კავშირის გაერთიანების საკონფერენციო დარბაზში ბრიფინგი საქართველოს მომსახურების, კომუნალური და ბანკების პროფესიული კავშირის და საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალენოვანი საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა. ბრიფინგის ორგანიზატორებმა პრესკონფერენციაზე მეეზოვეების შრომითი უფლებების დარღვევაზე ისაუბრეს. მათი თქმით მეეზოვეებს შეკითხვის საშუალებასაც არ აძლევენ და მათ ეთნიკური ნიშნით დევნიან.

ინტერვიუ ავიტ მირზოევთან (საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალენოვანი საქართველოს“ ხელმძღვანელი): „ჩვენ სარჩელი შევიტანეთ სასამართლოში რათა აღვადგინოთ ის უკანონობა, რომელსაც ჩადიოდა ქალაქის დასუფთავების სამსახური უშუალოდ შპს, რომელიც ემსახურება ვაკე – საბურთალოს რაიონს და მოვითხოვთ, რომ სასამართლოს გზით ჩვენ აღვადგინოთ ისეთი საკითხები, როგორიც არის შრომითი უფლებებიდან გამომდინარე. ისეთი საკითხები როგორიც არის ე.ი. მათი შვებულებების გაცემა, დარეგულირება ამ საკითხის, თანხების გაცემა შვებულებებს რაც მიეკუთვნება, ასევე სამუშაო საათების ნორმების საკითხი. ჩვენი მოქალაქეებისაგან მიღებული გვაქვს ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ მათ ხელმძღვანელობამ, მათი ეთნიკური ნიშნით მიაყენა შეურაცხყოფა და მოიხსენია მათი ეთნიკური წარმომავლობა შეურაცხყოფელ ფორმებში, რაც ყოველად არის მიუღებელი ჩვენთვის და ამ ეტაპზე მიმდინარეობს, ჩვენს მიერ სამართლებრივი შესწავლა ამ საკითხისა“.

ინტერვიუ მალხაზ დონიაშვილთან (საქართველოს მომსახურების კომუნალური და ბანკების პროფესიული კავშირის წარმომადგენელი): „რა რაოდენობის მეტრაჟის მიხედვით რა უნდა დაასუფთაონ და რაში უნდა მიიღონ კონკრეტულად თავიანთი ხელფასი. მეორე ვითხოვთ, რომ ჰქონდეთ კუთვნილი 24 დღიანი შვებულება, რომელიც სამი წელია არაა არ მიუღია. აგრეთვე ჰქონდეთ თავიანთი სამუშაო ინვენტარი და ჰქონდეთ უბრალოდ შეკითხვის უფლება. ათასი პრობლემა შეიძლება იყოს სამსახურში მაგრამ რომ კითხულობენ ნებისმიერ რამეს პასუხი არააქვთ და არის აგდებული დამოკიდებულება“.

ინტერვიუ ჟანა მისოევთან (ქალაქის დასუფთავების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი): „ხვალა სასამართლო და ჩვენ გვაქვს იმის იმედი, რომ რაღაცნაირად ისე მოხდეს, რომ დაგვეხმარონ ჩვენ და მოგვხედონ უბრალოდ. მეტს არაფერს არ ვითხოვთ. ირდევვა, არანაირი უფლებები ჩვენ არა გვაქვს, ხმის ამოდება ჩვენ არა გვაქვს უფლება. ჩვენ არ ვიცით რა გვევალება, რა უნდა გავაკეთოთ, რააა შინაგანაწესი. არ ვიცით რაა, რა ფერისაა და საერთოდ არაფერი აი არააქვთ ისეთი ისაა, რომ მოგმართონ რაღაცნაირად და გითხრან აი ეს საბუთია აი ეს უნდა გააკეთო“.

6. 2010 წლის 21-28 იანვრის „ჯორჯიან ტაიმის“ (№02(568)) გამოქვეყნებულ სტატიაში „გაყიდული სამშობლო, დაქცეული ქვეყანა და „ვაი მიშასგან“ ასეთივე განწყობით არის დაწერილი:

„გრიშა პაპა მგ ზავრებს ეკითხება, მაქსიმა არის დღეს პოსტზე მორიგეო?, როგორც ამიხსნეს, „მაქსიმა“ ის რუსია, რომელსაც ქართველები ყველაზე მეტად სძულს, ამიტომაც მის მორიგეობაზე ვაგვლას ყველა ერიდება.“ სტატიას ახლავს სურათი-ჯარისკაცი ბავშვთან ერთად, რომელსაც ვაკეთებული აქვს მინაწერი - ქართველთმოდული რუსი „მაქსიმა“.

ეს არის ქსენოფობიის და ხალხთა შორის შუღლის გაღვივების მაგალითი.

რელიგიური უმცირესობის შეურაცხყოფა, შეუწყნარებლობა:

7. რელიგიური შეუწყნარებლობა იკითხება 2010 წლის 17 იანვრის გაზეთ „კვირის რეზონანსში“ (009 (6235)) გამოქვეყნებული სტატიის სათაურშივე „ცხინვალის ისლამიზაცია“. სტატიაში ვკითხულობთ:

„ჩენები, რომლებიც ცხინვალის აღმშენებლობით პროცესში გარკვეულ წვლილს იღებენ, სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის დელაქალაქში მეჩეთის აშენებას მოითხოვენ. ამან ე. წ. სამხრეთ ოსეთში დიდი რეზონანსი გამოიწვია. აღნიშნული ინიციატივით ის მუსლიმანები გამოდიან, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ადღეებით სამუშაოებში საკონტრაქტო ხელშეკრულებით არიან დაკავებულნი, მანამდე კი რუსეთ-საქართველოს ომშიც გარკვეული წვლილი გაიღეს..

ედუარდ კოკოითის ადმინისტრაციაში რელიგიის საკითხებში უფლებამოსილი პირის, სონია ხუბაევას თქმით, ტრადიციული ისლამის ადგილას ფიქსირდება ისლამის რადიკალური მიმდინარეობის – ვაჰაბიზმის განვითარება. ვაჰაბიტები ცდილობენ, ოსი ახალგაზრდობა და რუსი სამხედროები თავიანთ მხარეს გადაიბირონ.

...ისლამიზაციის მეორე მცდელობა “სამხრეთ ოსეთში” წინანდელთან შედარებით უფრო ძლიერი იყო. ამჯერად მაჰმადიანები თავის მოთხოვნას უფრო მეტი კატეგორიულობით აყენებდნენ. კონკრეტულად, ისინი მოითხოვდნენ ისლამის მიმდევრებისთვის ფართო უფლებების მინიჭებას, მუსლიმანური საზოგადოების ჩამოყალიბებას და ცხინვალში მიწის გამოყოფას მეჩეთის ასაშენებლად”.

პაატა ზაქარეიშვილი:

„აღბათ, ამ ზღაპრების მოგონება სჭირდება და ხელს აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, რომ შექმნას ისეთი წარმოდგენა, თითქოს სამხრეთ ოსეთში ხალხის გამაჰმადიანება მიდის. ასეთი ლეგენდებით უნდათ „რომ დაამცვირონ ოსური საზოგადოება“.

ამ ამონარიდებში აშკარად იკვეთება ქსენოფობიური განწყობა როგორც ჩენების, ასევე მაჰმადიანების და ზოგადად ისლამის მიმართ. სტატიის ავტორი საკუთარ დამოკიდებულებას ავლენს გასაშუქებელი საკითხის მიმართ. ჩენები და მაჰმადიანები სტატიის ობიექტები არიან და არა სუბიექტები. საკითხი არ არის გაშუქებული მეორე მხარის პოზიციიდან. ყველა ჩენი ვაჰაბიტად არის წარმოდგენილი, ხოლო ვაჰაბიზმი ზოგადად ისლამთან არის გაიგივებული. მეტიც, რესპონდენტის პაატა ზაქარეიშვილის კომენტარით გამაჰმადიანება დამამცირებელ აქტთან იგივედება. ეს არის სტერეოტიპული აზროვნების აშკარა

ილუსტრაცია. საკითხის ასეთი გაშუქება შეურაცხყოფელია როგორც მაჰმადიანი ქართველების, ასევე საქართველოში მცხოვრები ჩეჩნებისათვის.

თუმცა ამავე სტატიაში პაატა ზაქარეიშვილის მეორე კომენტარი შეიძლება პოზიტიურ ფაქტად შეფასდეს:

„კოკოითმა რომც დართოს ნება მეჩეთის ასაშენებლად, ეს მაინც არაფერს ნიშნავს. ჩვენთან, თბილისშიც არის მეჩეთი, მაგრამ რა გამოდის, რომ ქართველების ისლამიზაცია ხდება? ანუ სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, რომ პატარა ჯგუფების რელიგიური ინტერესები დაკმაყოფილდეს. ზოგადად კი მეჩეთის აშენება ცხინვალში არაფერს ნიშნავს. ოსეთში უფრო მეტია მართლმადიდებელი, ვიდრე აფხაზეთში. ისინი, როგორც ქართველები, ისე ასრულებენ მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებს“.

აქ რესპონდენტი რელიგიური უმცირესობების ინტერესების დაკმაყოფილების მართებულობაზე საუბრობს.

8. დისკრიმინაციულია ასევე გაზეთ „კვირის პალიტრის“ №3 (807) გამოშვებაში (2010 წლის 18-24 იანვარი) დაბეჭდილი სტატია „ცხინვალში მეჩეთებს აშენებენ?“, რომელშიც „ექსპერტთა კლუბის“ ექსპერტის გოგი მაისურაძის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში ვაჰაბიზმი ძლიერდება, გამოდევნილი ქართველების მიწაზე კი ვაჰაბიტები და რუსი ჯარისკაცები სახლდებიან. **გადამთიელები ცხინვალში მეჩეთის აშენებას მოითხოვენ, რაც ოსების გაღიზიანებას იწვევს.**“ აქაც ოსები და ჩეჩნები სტატიის ობიექტები არიან და არა სუბიექტები.

9. ამავე გაზეთის მეორე სტატია „გაზაფხულზე ახალ პროვოკაციებს უნდა ველოდეთ?“ სადაც კორესპონდენტის მიერ დასმული კითხვა „რა გამოდის, მალე უძველეს ქრისტიანულ მიწაზე მეჩეთებს ვიხილავთ?“ დისკრიმინაციის, სტერეოტიპიზაციის და ქსენოფობიის მკაფიო ილუსტრაციაა.

10. 21-28 წლის გაზეთ „ჯორჯიან ტაიმის“ №02(568)-ში გამოქვეყნებული სტატია, სახელწოდებით „ტოლერანტობად გასადებული შხამი „ეკუმენიზმისა“ არა ერთი სტანდარტია დარღვეული: სტატიის ავტორის მიერ გაკეთებული შეურაცხყოფელი განცხადებები, სიძულვილის ენა, ქსენოფობიის და შეუწყნარებლობის ქადაგება, შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით, სტერეოტიპიზაცია, უმცირესობების წარმოდგენა სტატიის ობიექტებად და არა სუბიექტებად.

მთელი სტატია ზემოაღნიშნული სულისკვეთებით არის განსმჯვალული, გაჯერებულია დამამცირებელი, შეურაცხყოფელი განცხადებებით. არამართლმადიდებლები ურჯულოებად არიან მოხსენიებულნი, არამართლმადიდებლებთან ურთიერთობა სამარცხვინო და ღამის დანაშაულებრივ ქმედებად არის წარმოდგენილი, რჯულთშემწყნარებლობა მიუღებელ ცნებად განიხილება და ა.შ. სტატია საკმაოდ დიდია და საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიტანთ:

„მეტიც, მიზამნიმართულ პროპაგანდას უწევენ იმ სიცრუეს, თითქოს წმინდა მეფე დაგით აღმაშენებელი „ეკუმენისტი“ და რჯულთშემწყნარებელი იყო, მეჩეთში დადიოდა, იქ საეკლესიო კანონების საწინააღმდეგო ლოცვებს ესწრებოდა, მოწიწებით ისმენდა ყურანს, სადაც უარყოფილია წმინდა სამება, ხოლო ქრისტე ნახსენებია, როგორც წინასწარმეტყველი და არა როგორც

განკაცებული ღმერთი – მესია. ამით ისინი ცდილობენ რელიგიურად გაუთვითცნობიერებელი საზოგადოების თვალში გამართლებულად წარმოაჩინონ უმაღლეს ხელისუფალთა „ყურბან ბაირამზე“ მეჩეთში მისვლა, იქ მოღებთან მუხლმორთხმით ჯდომა და „ბაირამობა“; პატრიარქის აღსაყდრების დღეს 25 დეკემბერს სამების ტაძარში წირვაზე დასწრების ნაცვლად კათოლიკურ მესაზე დასწრება და მთელი საქართველოსთვის კათოლიკური „შობის“ მილოცვა, ხოლო ქავთარაძის ქუჩაზე იეზუიტური თვალთმაქცობით აშენებულ უკანონო ტაძარზე და პაპისტების აგრესიულ პროპაგანდებზე თვალის დახუჭვა. იუდეველ რაბინებთან ერთად „ხანუკის“ აღნიშვნა; ლესელიძის ქუჩაზე მღებარე მართლმადიდებლური ტაძრის კარების წიხლით შენგრევა; იელოველთა და ათასი სხვა სექტების მომრავლების ხელშეწყობა და მათი რეგისტრირება; უკანონო მეჩეთების სოკოებივით მომრავლებაზე ფარული თანხმობა და სხვა ბოროტ სჯულიერება.“



თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.